

ინფორმაცია 2017 წლის 12 ნოემბრის

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურის არჩევნებში

მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება

კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* კვალიფიციური სუბიექტებისთვის სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ საათში 5 წთ ოდენობით ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის ერთად.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება

არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* არაკვალიფიციური სუბიექტისთვის სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ერთი არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 15 წმ. ოდენობით 10:00-11:00, 15:00-16:00 და 19:00-20:00 საათამდე პერიოდში (დღეში ჯამურად 45 წმ. ოდენობით)

3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

* წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულად განთავსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებგვერდზე www.adjaratv.ge, www.radioajara.ge.

4) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

* საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა "ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან "უფასო პოლიტიკური რეკლამა" რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ გაუშვას სუბიექტის მიერ მოწოდებული საარჩევნო რგოლი.

* სარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს დირექტორის, ნათია კაპანაძის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. 41.

* სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით და ყოველი მომდევნო დღეს განთავსდება როტაციის პრინციპით.

* სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე 2017@ajaratv.ge უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს. რგოლის ჩანაცვლების ან მედია განთავსებაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე 2017@ajaratv.ge, ხოლო სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს.

* კვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 30 წმ, ხოლო არაკვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 15 წმ. სხვა ქრონომეტრაჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოყენებული საეთერო დრო არ ანაზღაურდება შეკრებილობის პრინციპით.

5) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

ვიდეორგოლი:

* სარეკლამო რგოლზე მითითებული უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რიგითობის ნომერი, შრიფტი 24 PX

* სარეკლამო ვიდეორგოლი უნდა იყოს:

HDTV 1080i 25 ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით CD და DVD დისკზე.

ხმა-სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი-min 18 დეციბალი

საკონტაქტო პირი: საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის განვითარების უფროსი ინგა გოგოლიშვილი 591980520, სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი ზურაბ ჯიჯავაძე 591980577.